

ზალცბურგის მიმართვა მრავალენოვანი მსოფლიოსათვის

დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალენაზე ლაპარაკის უნარი და კომუნიკაციის დროს ენობრივი ბარიერების დაძლევა. მეორე ენის ნაწილობრივი ცოდნაც კი სასარგებლოა. დამატებითი ენების ცოდნა არის ახალი ტიპის გლობალური წიგნიერება. ენის შესწავლა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, როგორც ახალგაზრდებისათვის, ასევე ასაკოვანთათვის.

თუმცა დღეს მსოფლიოში მილიონობით ადამიანს წართმეული აქვს უფლება - შეინარჩუნოს, გამოიყენოს და განავითაროს თავისი იდენტობისა და სოციალური ენა. ამ უსამართლობის აღმოსაფხვრელად საჭიროა ისეთი ენობრივი პოლიტიკა, რომელიც მხარს დაუჭერს მულტილინგვურ საზოგადოებებსა და ინდივიდებს.

ჩვენ, ზალცბურგის საერთაშორისო სემინარის, სესიის „ტრამპლინი ნიჭიერთათვის: ენის სწავლა და ინტეგრაცია გლობალიზებულ სამყაროში“ (12-17 დეკემბერი, 2017 salzburgglobal.org/go/586), მონაწილეები

ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, სადაც:

- გაეროს წევრი 193 ქვეყანა და ადამიანების უმრავლესობა მრავალენოვანია.
- დღეს მსოფლიოში საუბრობენ 7,097 ენაზე.
- მათგან 2,464 ენას გაქრობის საფრთხე ემუქრება.¹
- კაცობრიობის ნახევარზე მეტი საუბრობს 23 დომინანტ ენაზე.
- მსოფლიოს მოსახლეობის 40% ვერ იღებს განათლებას მისთვის გასაგებ ენაზე.²
- მთელ მსოფლიოში 617 მილიონ ბავშვს და მოზარდს არ აქვს განვითარებული კითხვის უნარის მინიმალური დონე.³
- 244 მილიონი ადამიანი სამშობლოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, მათგან 20 მილიონი დევნილია, რომელთა რიცხვიც 41%-ით გაიზარდა 2000 წელთან შედარებით.⁴ მიგრანტები და დევნილები შეადგენენ მსოფლიოს მოსახლეობის მეხუთედ ნაწილს.⁵

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამყარო მრავალენოვანია, მილიონობით ადამიანი თავისი ენისა და ენობრივი უნარების გამო სირთულეებს აწყდება სახელმწიფო სტრუქტურებში, ეკონომიკის სფეროსა და განათლების სისტემაში, ასევე მოქალაქეობის მიღების დროს. ჩვენ უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემა, თუ გვინდა, შესრულდეს 2015 წელს 193 ქვეყნის მიერ მიღებული მდგრადი განვითარების მიზნები: «სიღარიბის ლიკვიდაცია, პლანეტის რესურსების შენარჩუნება და საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფა». ეფექტიან და თანასწორ ენობრივ პოლიტიკაზე აგებული სამართლიანი განათლების სისტემა უზრუნველყოფს საყოველთაო პროგრესის საფუძველს.

პრინციპები

- მრავალენოვნება (Multilingualism) ნიშნავს, როგორც უშულოდ ენების სწავლებას, ასევე არაფორმალური ურთიერთობის ფორმებსა და ინფორმაციის გაცვლას მრავალენოვან საზოგადოებაში.
- პლურილინგვიზმი (plurilingualism) გულისხმობს ინდივიდის მიერ რამდენიმე ენის ცოდნას.
- ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებენ სხვადასხვა ფორმის მრავალენოვნების განვითარებას.
- მულტილინგვური განათლება და სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სოციალური მრავალენოვნების მხარდაჭერა ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას, განსხვავებული კულტურების ურთიერთგაგებას და საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებას.

ვემხრობით ისეთ ენობრივ პოლიტიკას, რომელიც აღიარებს და მხარს უჭერს ენობრივ მრავალფეროვნებასა და ენობრივი უფლებების დაცვას.

ზალცბურგის მიმართვა

მრავალენოვანი

მსოფლიოსათვის გამყარებული

იქნება ძირითადი საკითხების შესახებ 2018 წელს

გამოქვეყნებული შესაბამისი

ანგარიშებითა და ბლოგებით.

მიზანმიმართული ენობრივი პოლიტიკა ხელს შეუწყობს საზოგადოების ერთიანობას, განათლების ხარისხის ამაღლებასა და ეკონომიკურ განვითარებას. დამატების მეთოდით (additive language learning) ენის სწავლა ხელს უწყობს ბავშვებში მშობლიურ ენაზე კითხვისა და წერის უნარის ფორმირებას, ეხმარება საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებს, შეინარჩუნონ ენობრივი იდენტობა, ცოდნა და რწმენა; ქმნის ახალი ენის შესწავლის შესაძლებლობას პირადი, კულტურული ან ეკონომიკური სარგებლის მიღების თვალსაზრისით. მულტილინგვური პოლიტიკის გატარება ხელს უწყობს ენობრივი მრავალფეროვნების, როგორც უნიკალური, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსის დაცვას; ასევე, განაპირობებს პოზიტიურ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს მსოფლიოში.

მოუწოდებთ ცალკეულ პირებს, კორპორაციებს, ორგანიზაციებსა და ხელისუფლებებს გაიზიარონ მულტილინგვური ხედვა, რომელიც მრავალენოვნებას მიიჩნევს უნივერსალურ ნორმად, არ ცნობს ენობრივ დისკრიმინაციას და მხარს უჭერს მრავალენოვნების პოლიტიკის განვითარებას.

რეკომენდაციები

პოლიტიკის შემუშავება

წარმატებული ენობრივი პოლიტიკისათვის საჭიროა სპეციალისტებისა და საზოგადოების დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა. საზოგადოებაში ენის შესახებ რაციონალური და ცხადი გადაწყვეტილებების მიღებაში იგულისხმება:

- შეთანხმება მკაფიო, რეალისტურ და მიღწევად მიზნებზე.
- პოლიტიკის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა, ამასთანავე, ყველა სტადიაზე მასწავლებლებისათვის განსაკუთრებული როლის მინიჭება.
- უწყვეტი განათლების პოლიტიკის გატარება მთელი ცხოვრების მანძილზე - დაწყებული სკოლამდელი განათლებიდან, სკოლის შემდგომი ფორმალური და არაფორმალური განათლებით გაგრძელებული.
- ყურადღების მიპყრობა ენის ყველა საჭიროებაზე, ასევე, უმცირესობათა მშობლიური ენის დაცვა, შესწავლა და გამოყენება.
- განათლებისა და შემეცნებით სფეროში, მშობლიური და სხვა ენების შესწავლის შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგების გათვალისწინება.
- კომუნიკაციური ტექნოლოგიების შესაძლებლობის გამოყენება.
- ენის პოლიტიკის სრული განხორციელებისათვის შესაბამისი რესურსების გამოყენება.
- პოლიტიკის მიზნებისა და იმპლემენტაციის რეგულარული მონიტორინგი.

სწავლება და სწავლა

ენის პოლიტიკა მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებს. ენების შესწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში მრავალენოვნების შეინარჩუნებისა და მისი სასიკეთოდ გამოყენებისათვის.

ენის შესწავლის კუთხით, განათლებისა და დასაქმების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ყველასათვის თანაბარი პირობების შექმნაზე, ამასთანავე პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბებაზე ენობრივი მრავალფეროვნების მიმართ. ბავშვებსა და ზრდასრულებს მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ჰქონდეთ ინტეგრირებული და უწყვეტი შესაძლებლობა, განავითარონ და გაიფართოვონ ენობრივი უნარები.

აუცილებელია განათლების ახალი პარადიგმის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს ცოდნის ტრადიციულ და ალტერნატიულ სისტემებს და იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. ახალი ენის შესწავლის შესაძლებლობა სცილდება სკოლისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ფარგლებს; ქუჩა, სახლი, სოციალური ქსელები, ციფრული გარემო, დევნილთა დასახლებები ხელს უწყობს ენების ათვისებასა და სხვა ენების აღიარებას.

ზეპირი და წერილობითი თარგმანი

მრავალენოვან საზოგადოებაში ამ სახის მომსახურება საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და ინფორმაციის გაცვლის განუყოფელი ნაწილია. ჯანდაცვის, განათლების, ეკონომიკისა და სამართლის სფეროში თანაბარუფლებიანი მონაწილეობა დამოკიდებულია კვალიფიციური და ადვილად მისაწვდომი ენობრივი შუამავლობის არსებობაზე.

მოწოდება ქმედებისაკენ

საზოგადოების დაინტერესებული მხარე, ვისაც შეუძლია ცვლილებების განხორციელება, მოიცავს პედაგოგებს, სამოქალაქო აქტივისტებს, კულტურისა და მედიის სფეროს წარმომადგენლებს, ჩინოვნიკებს, პოლიტიკოსებს, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კომერციულ და ბიზნეს ორგანიზაციებს, ჰუმანიტარულ და განვითარებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს, ფინდებს. მოვუწოდებთ ყველას:

- შეიმუშაონ ისეთი ენობრივი პოლიტიკა, პრაქტიკა და ტექნოლოგიები, რომელიც ხელს შეუწყობს ერთსულოვანი და დინამიური საზოგადოების განვითარებას, საზოგადოებაში მულტილინგვიზმისა და პლურილინგვიზმის მიმართ დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას.
- აქტიურად დაუჭირონ მხარი ოფიციალურ დოკუმენტებსა და საჯარო გამოსვლებში ენობრივ უფლებებს, მრავალფეროვნებასა და მოქალაქეობას.
- ებრძოლონ დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლენას, ენასა და წიგნიერების საკითხებთან დაკავშირებულ ცრურწმენებს, მიკერძოებასა და უთანასწორობას.
- გაითავისონ, რომ უმცირესობებს, მიგრანტებსა და ლტოლვილებს გააჩნიათ დიდი ენობრივი კაპიტალი, რომელსაც ჩვენი დღევანდელი და მომავალი სამყაროსათვის დიდი ღირებულება აქვს.

ყველა დაინტერესებულ მხარეს თავისებურად შეუძლია მრავალენოვნების მხარდაჭერა, სოციალური პროგრესის, სამართლიანობისა და მოქალაქეობრივი მონაწილეობის გაძლიერების მიზნით. ერთობლივი მოქმედებით შეგვიძლია მომავალ თაობებს შევუნახოთ მულტილინგვისტური კულტურისა და ცოდნის საგანძური.

¹ Language Atlas, UNESCO: <http://www.unesco.org/languages-atlas/>

² “40% don’t access education in a language they understand,” UNESCO: <https://en.unesco.org/news/40-don-t-access-education-language-they-understand>

³ “617 million children and adolescents not getting the minimum in reading and math,” UNESCO: <https://en.unesco.org/news/617-million-children-and-adolescents-not-getting-minimum-reading-and-math>

⁴ World Migration Report 2015, International Organization for Migration: <https://www.iom.int/world-migration-report-2015>

⁵ The Fifth Largest Country, Population Connection: <http://www.populationconnection.org/article/fifth-largest-country/>

⁶ Sustainable Development Goals, United Nations <http://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals/>